შპს სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

თბილისი 13 ოქტომბერი 2025 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 133-25

შესარჩევი კომისიის შექმნის შესახებ

უნივერსიტეტის დებულების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის 5.2 ქვეპუნქტით რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №05-23 საოქმო გადაწყვეტილებით), Erasmus+ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და საზაფხულო სკოლებში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატთა შერჩევის მიზნით ღია, გამჭვირვალე პროცედურების ჩატარების უზრუნველსაყოფად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პარტნიორ უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამებით (Erasmus+ KA171 ICM, FUCE Scholarship, Summer/Winter Schools, ინდივიდუალური გაცვლითი პროგრამები და სხვ.) სტუდენტებისა და პერსონალის გასაგზავნად კანდიდატების შერჩევის მიზნით შეიქმნას შესარჩევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

   ა) დიმიტრი გეგენავა - პრორექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
   ბ) შორენა პარუნაშვილი - საერთაშორისო ურთიერთობის მენეჯერი, კომისიის მდივანი;
   გ) ლელა ვარდიძე - ადამიანური რესურსების მენეჯერი (პერსონალის შემთხვევაში) - კომისიის წევრი;
   დ) ნათია შეყილაძე - კანცლერი, კომისიის წევრი (ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის შემთხვევაში);
   ე) კონკურსში გამოცხადებული მიმართულების შესაბამის ფაკულტეტის დეკანები - კომისიის წევრები (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის შემთხვევაში);
   ვ) კონკურსში გამოცხადებული მიმართულების შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის თანაშემწეები - კომისიის წევრები (სტუდენტების შერჩევის შემთხვევაში);

ზ) კონკურსში გამოცხადებული მიმართულების პროგრამის ხელმძღვანელები (სტუდენტების შერჩევის შემთხვევაში);

თ) სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი (სტუდენტების შერჩევის შემთხვევაში)- როგორც წესი, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, კომისიის წევრი;

ი) გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტი, კომისიის წევრი (სტუდენტების შერჩევის შემთხვევაში).

2. კომისია გადაწყვეტილებაუნარიანად ჩაითვალოს თუ მას ესწრება წევრთა სულ მცირე 2/3.
3. გადაწყვეტილებას კომისია იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
4. კომისიამ, კონკურსში მონაწილე სტუდენტების შეფასებისას იხელმძღვანელოს გაცვლითი პროგრამების პროექტით დადგენილი და პარტნიორ უნივერსიტეტებთან შეთანხმებული კანდიდატების შერჩევის პრინციპებით. კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციის კომისიის წევრებისა და დაინტერესებული პირების ინფორმირება დაევალოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილებას (შორენა პარუნაშვილი).
5. კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს (2026 წლის 31 ივლისის ჩათვლით).
6. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა და ბრძანების უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე განთავსება.
7. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებას ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.sabauni.edu.ge განთავსება.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი აკაკი ჭელიძე